საქმე # 340217716001388417
საქმე #14-16

2757578508641

www.info.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

(საქართველოს სახელით)
საჯარო შეტყობინების შესახებ

07.09.2016 წელი ქ. გურჯაანი

გურჯაანის რაიონული სასამართლოს
მოსამართლე რომან კუპატაძე

განმცხადებელი (სავარუდო მოსარჩელე): თამაზი ცერცვაძე

მოწინააღმდეგე მხარე (სავარაუდო მოპასუხე): ამირან ცერცვაძე;

სავარაუდო დავის საგანი: ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და კომლის ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობა.
მოთხოვნა: სარჩელს აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა განმცხადებელ თამაზი ცერცვაძისთვის სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ განჩინების საჯარო შეტყობინებით ჩაბარების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

გურჯაანის რაიონული სასამართლოს წარმოებაშია თამაზი ცერცვაძის განცხადება სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული 1986-1995 წლების საკომლო წიგნების ჩანაწერების თანახმად, თამაზი ცერცვაძე მეუღლესთან ლეილა ცერცვაძესთან და შვილთან მაია ცერცვაძესთან ერთად რეგისტრირებულები იყვნენ მამის არსენა ცერცვაძის კომლის წევრებად. მათ კომლზე ირიცხებოდა საცხოვრებელი სახლი 99 კვ.მ. და მიწის ფართობი 0,28 ჰა. 2010 წლის 4 იანვარს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მამამ არსენ ცერცვაძემ კომლზე რიცხული ქონება მთლიანად გაასხვისა ამირან ცერცვაძეზე. 2012 წლის მაისის თვეში სარჩელით მიმართა გურჯაანის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა 2010 წლის 04 იანვარს დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და მასზე და კომლის წევრებზე აღრიცხული კომლის ქონების თანამესაკუთრეებად ცნობა. სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა. 2014 წლის 19 მარტის თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით გაუქმდა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 31 მაისის

გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა გურჯაანის რაიონულ სასამართლოს. 2015 წლის 04 დეკემბრის განჩინებით გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობის თაობაზე.

განმცხადებლის განმარტებით ამჟამად აპირებს ახალი სასარჩელო განცხადების წარდგენას 2010 წლის 4 იანვარს დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის და აწ გარდაცვლილი მამის კომლის ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით. ასევე, ითხოვა სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით საჯარო რეესტრში ამირან ცერცვაძის საკუთრებად რეგისტრირებულ უძრავ ქონებას, მდებარე - ქალაქი ლაგოდეხი, **სოფელი ლელიანი, საკადასტრო კოდი №54.14.54.002, დაედოს ყადაღა. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძვლად მხარე მიუთითა იმაზე, რომ არსებობს აღნიშნული ქონების გასხვისების რეალური საშიშროება.**

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 09.06.16 წლის განჩინებით განმცხადებელს უარი ეთქვა სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე.

2016 წლის 9 ივნისს თამაზი ცერცვაძეს განცხადებაში მითითებულ მისამართზე - ქალაქი რუსთავი, მესხიშვილის ქ #10, ბინა 74, გაეგზავნა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 9 ივნისის განჩინება სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის თაობაზე. ფოსტის უკუგზავნილიდან ირკვევა, რომ ადრესატის მიერ მითითებული მისამართი არასწორია და ასეთი მისამართი საერთოდ არ არსებობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია რომ, განმცხადებელს განჩინების თაობაზე უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე, ან ვებგვერდზე განთავსებით, ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში - მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ზემოაღნიშნული ნორმებით გათვალისწინებულ შემთხვევას: კერძოდ, საფოსტო შეტყობინების ბარათებით და საქმის მასალებით დადგენილია, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული მისამართი არასწორია და შესაბამისად ვერ ბარდება სასამართლოს განჩინება უზრუნველყოფის თაობაზე.
ამ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების (სარჩელისა და თანდართული მასალების) საჯაროდ გავრცელების შესახებ შეტყობინების ვებ-გვერდზე www.court.ge/courts/gurjaanis raionuli sasamartlo/ და გურჯაანის რაიონული სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 70-ე-78-ე, 184-ე, 201-ე, 284-ე-285-ე, 414-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. თამაზი ცერცვაძეს (პირადი №25001036758) საჯარო შეტყობინების გზით ეცნობოს გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 09 ივნისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

- განმცხადებელ <u>თამაზი ცერცვაძეს</u> უარი ეთქვას სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე.
- განჩინებაზე შეიძლება საჩივრის შეტანა გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მხარისათვის განჩინების ასლის გადაცემიდან 05 (ხუთი) დღის განმავლობაში.

3. განჩინება განთავსდეს გურჯაანის რაიონული სასამართლოს ვებგვერდზე - www.court.ge/courts/gurjaanis raionuli sasamartlo/ და გურჯაანის რაიონული სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე.

4. სასამართლოს შეტყობინება თამაზი ცერცვაძეს ჩაბარებულად ეთვლება გურჯაანის რაიონული სასამართლოს შენობაში და ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

5. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მოსამართლე რომან კუპატაძე

ასლი დედანთან სწორია
გურჯაანის რაიონული სასამართლო
ხელმოწერა:
07. 09. 2016